



საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

2015 წლის I კვარტლის ანგარიში

❖ 15 იანვარს ხობის რაიონში გაიხსნა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობა და სალოტბარო სკოლა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე, სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნატორის მოადგილე კობა ქანთარია, ხობის გამგებელი გოჩა ქაჯაია, საკრებულოს თავჯდომარე ედიშერ ჯობავა, ფოლკლორის ცენტრის სპეციალისტები, კულტურისა და საზოგადოების წარმომადგენლები.



❖ 16 იანვარს ოზურგეთში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობა და სალოტბარო სკოლა გაიხსნა. ოზურგეთის სალოტბარო სკოლა ხელს შეუწყობს უნიკალური ქართული (გურული) სიმღერისა და ტრადიციული გალობის აღდგენა-გადარჩენას, პოპულარიზაციას, ქართული ფოლკლორის ნიმუშების მოძიებასა და მოვლას, ფოლკლორის ყველა დარგის თანაბარ განვითარებასა და აღორძინებას.

სალოტბარო სკოლაში მოსწავლეები, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სპეციალური პროგრამით, უფასოდ შეისწავლიან ქართულ ხალხურ სიმღერასა და ტრადიციულ გალობას. სკოლის დამთავრების შემდეგ კი წარჩინებული მოსწავლეები სწავლას გააგრძელებენ თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის უმაღლეს სასწავლებელში.

❖ 23 იანვარს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ირაკლი ჭელიძე, ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელი ეთერ თათარაიძე და მუსიკალური ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი ნანა ვალიშვილი იმყოფებოდნენ ხარაგაულის ფოლკლორის ცენტრის სამობაო მუსიკალურ-ეთნოგრაფიულ წარმოდგენაზე.

❖ 29 იანვარს ყვარელში გაიხსნა სალოტბარო სკოლა, სადაც მოზარდები, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სპეციალური პროგრამით, უფასოდ შეისწავლიან ქართული ფოლკლორის თითოეულ დარგს. სკოლის დამთავრების შემდეგ კი წარჩინებული მოსწავლეები სწავლას გააგრძელებენ თბილისის გიორგი მთაწმინდელის სახელობის უმაღლეს სასწავლებელში.



❖ 30 იანვარს კასპში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობა და სალოტბარო სკოლა გაიხსნა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი დონაძემ და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.



❖ 9 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა შეხვედრა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გახსნილი ფოლკლორული სკოლების ლოტბარებთან, რეგენტებთან, ქორეოგრაფ-ქორეოლოგებთან, ზეპირსიტყვიერებისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტებთან. მათ უნდა უზრუნველყონ იმ პროექტის წარმატებით შესრულება, რომელსაც საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი რეგიონებში ახორციელებს.

❖ 13 თებერვალს თეთრიწყაროში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის წარმომადგენლობა და სალოტბარო სკოლა გაიხსნა. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი დონაძემ და თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბესიკ წიკლაურმა.



❖ 18 თებერვალს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის „გალერეაში“ გაიხსნება გამოფენა – „ძველი ტრადიციული სამოსი“. გამოიფინა: ქალისა და მამაკაცის სამოსი, თავსაბურავები და თავსამკაულები, ეთნოგრაფიული ნივთები, სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი ფარდაგები, ფოტოსურათები, ქართული ტრადიციული და კავკასიის სხვადასხვა ეთნოსის თოჯინები.



- ❖ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი იწყებს შეხვედრებს საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებთან. 5 მარტს საღამოს პირველი სტუმარი და იმავდროულად - მასპინძელი იყო პოეტი და ფოლკლორისტი ეთერ თათარაიძე.



- ❖ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ატარებს "საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალს". ამ საკითხთან დაკავშირებით, 12 მარტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა. ფესტივალის ჩატარებისა და მიმდინარეობის შესახებ ისაუბრეს: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი დონაძემ და ფოლკლორის ცენტრის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ანზორ ერქომაიშვილმა.



- ❖ 13 მარტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა შეხვედრა ფოლკლორულ ანსამბლ "დიოსკურიასთან" (ხელმძღვანელი დავით ოკუჯავა). ცენტრის სპეციალისტების წინაშე ანსამბლის ძველი და ახალი თაობა წარდგა. მათ ათამდე ქართული, ხალხური სიმღერა შეასრულეს.

- ❖ 18 მარტს რეგიონული პროექტების სამსახურის კოორდინატორი მიხეილ ჯავახიშვილი მივლინებით იმყოფებოდა ხაშურში. მივლინების მიზანი - საგუნდო კონკურსის ჟიურის წევრობა.

- ❖ 19 მარტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მუსიკალური ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი ნანა ვალიშვილი მივლინებით იმყოფებოდა გურჯაანსა და ლაგოდეხში. მივლინების მიზანი: საგუნდო მუსიკის ფესტივალის 3 ტურზე დასწრება და შეფასება (ჟიურის წევრი)

❖ 21 მარტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა წარმომადგენლობა გახსნა ბორჯომში. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი დონაძემ და ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დიმიტრი ყიფიანმა ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლითაც მხარეთა უფლებამოვალეობები განისაზღვრა.



- ❖ 26 მარტს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა გამოფენა - „სამოსელი პირველი“. „გალერეაში“ ქალის, მამაკაცისა და ბავშვის სამოსელთან ერთად გამოიფინა აქსესუარები: ჩოხის მასრები, ხანჯლები და სატევრები, ქალისა და მამაკაცის სარტყლები, საფულეები, ქისები, ქალისა და მამაკაცის სამოსის შესატყვისი ფეხსაცმელი, ჩექმა და სხვა.



- მიმდინარეობს მუშაობა დავით ჯავრიშვილის ანთოლოგიაზე
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „როსტომ გოგოლაძე“
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „ანდრო სიმაშვილი“
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „პოლიკარპე ხუბულავა“
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „რაჟდენ ხუნდაძე“
- მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე - „ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“

- საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა შეიცვალა ვებ გვერდის მიმასამართი www.folk.gov. მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ-გვერდის შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.

- მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.

- ❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.

- ❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის განახლებული ელექტრონული არქივის შესავსებად.